განაცხადი ბავშვთა დაცვის შესახებ ქცევის პროტოკოლების შესრულებასა და კომუნიკაციის ფარგლებში ზიანის თავიდან აცილებაზე

(ეხება ვორლდ ვიჟენის ყველა დონორს, სპონსორს, სტუმარს, ინდივიდუალურ კონტრაქტორს, იმის მიუხედავად ურთიერთქმედებენ თუ არა ისინი ბავშვებთან)

ვადასტურებ, რომ გავეცანი ქვემოთ მოყვანილ დებულებებს საერთაშორისო ვორლდ ვიჟენის ბავშვთა დაცვის შესახებ ქცევის პროტოკოლებსა და კომუნიკაციის ფარგლებში ზიანის თავიდან აცილებაზე და ვაცხადებ, რომ არ ვყოფილვარ ნასამართლევი ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულზე (მაგალითად, ბავშვებთან უხეში მოპყრობა, ადევნება, პედოფილია, ბავშვებზე პორნოგრაფია, გაუპატიურება და ასე შემდეგ) ან ჩართული ისეთ სამოქალო საქმეებში, რომლებიც ბავშვთა დაცვის საკითხებს უკავშირდებოდა. გარდა ამისა, ვადასტურებ, რომ მივყვები და დავიცავ ბავშვთა დაცვის შესახებ ვორლდ ვიჟენის მოთხოვნებსა და განსაზღვრულ ქცევის წესებს შემდეგნაირად:

- არ ვიმოქმედებ ფიზიკურად შეუფერებელი მანერით, არ მექნება სექსუალური ურთიერთობა 18 წლამდე ასაკის ბავშვთან (იმის მიუხედავად, ამგვარი ურთიერთბისთვის თუ რა ცალკეული ასაკია კანონიერად დაშვებული ქვეყანაში).
- არ მოვეფერები, არ ვაკოცებ, არ ჩავეხუტები და არ შევეხები ბავშვებს შეუფერებელი ან გულგრილი მანერით.
- არ ვისაუბრებ და არ გავცემ რეკომენდაციებსა თუ რჩევებს არაადეკვატურ ან შეურაცხმყოფელ ენაზე (მათ შორის ისეთი გამონათქვამებით, რომელიც იწვევს ბავშვის შერცხვენას, შეურაცხყოფას ან დამცირებას).
- არ გავატარებ ზედმეტ ან არასაჭირო დროს ბავშვთან მარტო, სხვებისგან შორს, დახურული სივრცის მიღმა ან იზოლირებულ ტერიტორიაზე.
- უყურადღებოდ არ დავტოვებ და არ ჩავერთვები ბავშვებზე გამიზნულ ისეთ ქმედებაში, რომელიც უკანონო, უსაფრთხო ან შეურაცხმყოფელია; მათ შორის ზიანის მომტანი ტრადიციული პრაქტიკები, სულიერად და რიტუალურად ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობა.
- არ დავიქირავებ ბავშვს რაიმე სახის შრომისთვის; კერძოდ, ვორლდ ვიჟენთან დაკავშირებულმა პირმა არ უნდა გამოიყენოს ბავშვი „სახლში დასახმარებლად“ თუ ეს ბავშვის ინტერესებში არ შედის და ადგილობრივ კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება (ბავშვთა შრომა ეს არის შრომა, რომელიც გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი და სოციალური თვალსაზრისით საშიში და საზიანოა ბავშვებისთვის ან სწავლაში უშლის ხელს. ბავშვთა შრომაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 182-ე და 138-ე კონვენცია).
- არ დავარტყამ და არ გამოვიყენებ ფიზიკური სასჯელის სხვა გზებს ბავშვის მიმართ, როცა იგი ვორლდ ვიჟენის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ან მაშინ, როცა ვორლდ ვიჟენთან დაკავშირებული პირი სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს.
- ვორლ ვიჟენში სამსახურებრივი მოვალოების შესრულებისას, სატრანსპორტო საშუალებით არ წავიყვან ბავშვს მარტო თუ არ არის ამისი უპირობო აუცილებლობა ან არ არსებობს მეურვისა და მენეჯერის მხრიდან შესაბამისი თანხმობა.
- ბავშვებთან ურთიერთობებში, საუბრისას და მოქმედებისას ვიქნები ფრთხილი და მოქმედებით გამოვავლენ პატივისცემას ბავშვთა და მათ უფლებათა მიმართ.
- ვიძლევი გარანტიას, რომ ბავშვებთან ყველა სახის ფიზიკური კონტაქტი იქნება მოცემული გარემოსთვის შესაფერისი.
- ბავშვთა ქცევის მართვისას გამოვიყეებ პოზიტიურ, არაძალადობრივ მეთოდებს.
- როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი პასუხს ვაგებ საკუთარ საქციელსა და ქმედებაზე.
- პასუხს ვაგებ ჩემს ყველა საპასუხო ქმედებაზე ბავშვის საქციელის მიმართ, მაშინაც, თუ იგი სექსუალურად შეუფერებელი მანერით მოქმედებს; ყველა ზრდასრულს მოეთხოვება განერიდოს ისეთ სიტუაციას, სადაც შესაძლოა იგი კომპრომატულ ან მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდეს ბავშვთან.

- ვორლდ ვიჟენთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას, სადაც შესაძლებელი და პრაქტიკული იქნება, დავემორჩილები „ორი სრულწლოვნის“ წესს (ღონისძიებებს, რომლებშიც ბავშვები მონაწილეობენ, ზედამხედველობს მუდმივად თვალთახედვის არეში მყოფი ორი ან მეტი სრულწლოვანი პირი).
- ვიმოქმედებ ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული გამოძიების (ორგანიზაციის შიგნით თუ გარეთ არსებული) შესაბამისად და გამოძიების ჩასატარებლად ვუზრუნველყოფ ყველა შესაძლო დოკუმენტსა თუ საჭირო ინფორმაცის.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და დავიცავ ქვემოთ მოყვანილ დებულებებს კომუნიკაციის ფარგლებში ზიანის თავიდან აცილებაზე:

a) სოციალურ მედიასა თუ ციფრულ ტექნოლოგიებში გავრცელებული მასალები არ მოიცავს ბავშვის გვარს, დაფინანსების ფარგლებში მის საიდენტიფიკაციო ნომერს ან ბავშვის პირად მისამართსა თუ მდებარეობას.

b) ბავშვის ან ბავშვების შესახებ არსებული მასალა არ იძლევა გეოგრაფიული მდებარეობის იდენტიფიკაციის საშუალებას თუ მასში ბავშვის სახელის რაიმე ნაწილი ფიგურირებს. მისაღები ალტერნატიული გზა იქნება ფოტოში ბავშვის მხოლოდ სახელით მონიშვნა ადგილობრივი განვითარების პროგრამის ოფისის მდებარეობის მიხედვით.

c) ბავშვის ის პირადი მონაცემები, რომელიც იკრიბება, ინახება ან იგზავნება ელექტრონული, ინტერნეტ ან მობილური საშუალების გზით, დაცულია პაროლით.

d) სადაც შესაძლებელია, ყველა ზომა იქნება მიღებული იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ვორლდ ვიჟენის ნებართვის გარეშე ფოტო მასალის ელექტრონულად გადაწერა (ციფრული ‘წყალნიშნის’ დართვისა და მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით გადმოწერის ფუნქციის გათიშვის გზით, ინტერნეტ სივრცეში არსებობის შესახებ ვორლდ ვიჟენის პარტნიორობის მინიმალური სტანდარტების შესაბამისად).

e) სამხრეთ კავკასიის ვორლდ ვიჟენი მოუწოდებს, რომ მისი საქმის კურსში ყოფნის გარეშე სოციალურ ქსელში არ მოხდეს პირდაპირი, შეუმსუბუქებელი და დაუსაბუთებელი კომუნიკაცია სპონსორს, დონორს, სტუმარსა და რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ ბავშვებს შორის და თანამშრომელთა, მოხალისეთა თუ ვორლდ ვიჟენთან დაკავშირებულ სხვა პირებსა და რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ ბავშვებს შორის.

f) სპონსორებს, დონორებს, სტუმრებს, ბავშვებსა თუ მათზე მზრუნველ პირებს ვორლდ ვიჟენი შეტყობინების გასაკეთებლად სხვადასხვა გზას სთავაზობს, რათა რაიმე ინციდენტზე ინფორმაციის მოწოდებისას, მათ არაკომფორტულად ან საშიშროების ქვეშ არ იგრძნონ თავი.

g) სპონსორების დასახვედრ დოკუმენტების ნაკრებში, ვორლდ ვიჟენის ვებგვერდებზე, დომენებსა და სოციალურ მედია არხებში კომპანიის გვერდებზე თანდართულია პირადი ინფორმაციის კანონიერ დაცვასა და კონფიდენციალურობაზე შეთანხმების პუნქტი, სადაც მითითებულია ბავშვთა დაცვის ინტერესებსა თუ შემთხვევებზე მოხსენების წარსადგენი საშუალებები.

_____	_____	_____
ხელმოწერა	თარიღი	სტატუსი (ვორლდ ვიჟენის დონორი, სპონსორი, სტუმარი, მოხალისე, სტაჟიორი, ინდ. კონტრაქტორი)

_____	_____
სრული სახელი (დაწერეთ გარკვევით)	პასპორტის დეტალები

_____

მისამართი